შემოქმედებითი კომპასი საქართველო

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საგრანტო კონკურსი

დანართი #3

სამუშაო გეგმა და სახელმძღვანელო მითითებები

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პერიოდი:

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის განხორციელების ვადა საგრანტო კონკურსის სამუშაო გეგმის თანახმად მოიცავს 2-თვემდე პერიოდს.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტაციის წარდგენის ბოლო ვადა არის 2024 წლის 18 ივნისი.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის ყველა პროცესი უნდა დასრულდეს საგრანტო პერიოდის დასრულებამდე.

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პროცესი:

ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის პროცესის სათანადოდ განხორციელებისთვის:

- პროექტის განხორციელების პროცესის შუალედური შეფასების სესიის გამართვა მუნიციპალიტეტის მერიასთან გრანტების მენეჯერის მიერ.

- საინფორმაციო წერილი, მომავალი ღონისძიებებისა და ვადების მითითებით, ბენეფიციარს გაეგზავნება ელექტრონულად, ელ-ფოსტით.

სამუშაო გეგმა

პროექტის სამუშაო გეგმა ითვალისწინებს ბენეფიციარისთვის სავალდებულო ძირითად ეტაპებს და მოიცავს ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის განხორციელების პროცესს, ასევე ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის მეთოდოლოგიის შესახებ სავალდებულო ტრენინგებში მონაწილეობას, განხორციელების პროცესის შუალედური შეფასების სესიას, „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს გახსნით ღონისძიებაზე დასწრებას, საბოლოო ანგარიშის ფორმის და ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტის წარდგენას.

ქვემოთ ცხრილში მოცემულია ბენეფიციარებისთვის სავალდებულო 4 ეტაპი და ერთი საბოლოო დოკუმენტი, რომელიც წარდგენილი უნდა იყოს პროექტის განხორციელების ვადის ამოწურვამდე.

	ღონისძიების აღწერა	**დამადასტურებელი საბუთი**
1-ელი ეტაპი	2024 წლის აპრილს/მაისს ფიზიკური აღნუსხვის მეთოდოლოგიის შესახებ სავალდებულო ონლაინ ტრენინგზე დასწრება და მონაწილეობა, რომელსაც ატარებენ მოწვეული ექსპერტები.	- მონაწილეთა სია – ონლაინ ტრენინგში მონაწილე მუნიციპალიტეტის ოფიციალური წარმომადგენლები შეავსებენ მონაწილეობის ფორმას. ონლაინ ტრენინგის ვიდეოჩანაწერი - მონაწილე პირთა თანხმობით, განხორციელდება ონლაინ ტრენინგის ჩაწერა.
მე-2 ეტაპი	განხორციელების პროცესის შუალედური მიმოხილვის სესია	- პროცესის შუალედური მიმოხილვა ჩატარდება პროექტის განხორციელების პერიოდის პირველი თვის შემდეგ.
მე-3 ეტაპი	მუნიციპალიტეტის მერის ან/და ოფიციალური წარმომადგენლის „შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს გახსნით ღონისძიებაზე.	- მონაწილეთა რეგისტრაციის ფორმა – ღონისძიებაზე დამსწრე მუნიციპალიტეტის ოფიციალური წარმომადგენელები ადგილზე შეავსებენ რეგისტრაციის ფორმას. - ღონისძიების ფოტოები – დამსწრე პირთა თანხმობით, შესაძლებელი იქნება ფოტოების გადაღება.
მე-4 ეტაპი	საბოლოო ანგარიშის ფორმის წარდგენა	- განხორციელებული ღონისძიებების საბოლოო ანგარიშის ფორმა (მათ შორის შედეგები, გამოწვევები და მიღებული გამოცდილება, ჯგუფის წევრების როლების განაწილება და სხვა) წარადგინა ბენეფიციარმა წარმოდგენილი ნიმუშის შესაბამისად და პროექტის განხორციელების ვადის ამოწურვამდე.
საბოლოო დოკუმენტი	ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის დოკუმენტის შექმნა აღნუსხვის მეთოდოლოგიის და ჩატარებული ტრენინგების შესაბამისად.	- ფიზიკური ინფრასტრუქტურის აღნუსხვის დასრულებული დოკუმენტი (შევსებულია საკონტროლო ჩამონათვალის ფორმა; შექმნილია ინფრასტრუქტურის დოკუმენტაცია; წარმოდგენილია შენობების ფოტოები ...) წარდგენილია პროექტის განხორციელების ვადის ამოწურვამდე.

სამუშაო გეგმის განხორციელების განრიგი:

	აქტივობა	*I კვირა*	*II კვირა*	*III კვირა*	*IV კვირა*	*V კვირა*	*VI კვირა*	*VII კვირა*	*VIII კვირა*	*IX კვირა*
1	ონლაინ ტრენინგში მონაწილეობა									
2	ფიზიკური აღნუსხვის პროცესი, ფიზიკური აღნუსხვის დოკუმენტაციის შექმნა									
3	განხორციელების პროცესის შუალედური მიმოხილვა									
4	„შემოქმედებითი კომპასი საქართველო“-ს გახსნით ღონისძიებაზე დასწრება.**									
6	ფიზიკური აღნუსხვის დოკუმენტის წარდგენა									
7	საბოლოო ანგარიშის ფორმის წარდგენა									

**შენიშვნა: სამოქმედო გეგმის განხორციელების გრაფიკი პირობითია.*
მუნიციპალიტეტმა ფიზიკური აღნუსხვის საბოლოო დოკუმენტი უნდა წარადგინოს 2024 წლის 18 ივნისს.

***შენიშვნა: ბენეფიციარს მინიმუმ 2 კვირით ადრე ეცნობება გახსნითი ღონისძიების თარიღი.*